GRASS REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
წერილის რეგისტრაციის № 40
თარიღი: 25 02 2014 წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-01/1016
21/02/2014

1016-2-01-2-201402211801

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დირექტორს

ბატონ სერგი კაპანაძეს

ასლი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

ბატონო სერგი,

საავტომობილო გზების დეპარტამენტში, მიმდინარე წლის 19 თებერვალს, შემოვიდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს N721/გ წერილი, თქვენი 2014 წლის 13 თებერვლის N63 წერილთან დაკავშირებით.

აღნიშნული წერილის პასუხად ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ:

1. „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობის“ მუხლით (პროგრამული კოდი 25 02 03) გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 267384633,03 ლარი, რაც შეადგენს გამოყოფილი ასიგნებების (დაზუსტებული გეგმა 286020250 ლარი) 93,48 პროცენტს.

2. 2013 წელს, ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე სამშენებლო სამუშაოები 111 კმ-ზე მიმდინარეობდა.

3. საგზაო საფარი გეგმის შესაბამისად მოეწყო 28,1 კილომეტრზე.

4. გეგმის შესაბამისად მოძრაობა გაიხსნა 15,5 კილომეტრზე.

5. „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობის“ მუხლით (პროგრამული კოდი 25 02 03) გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 193649191,52

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

ლარი, რაც შეადგენს გამოყოფილი ასიგნებების (დაზუსტებული გეგმა 212985000 ლარი) 90,92 პროცენტს

6. 2012 წელს, ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე სამშენებლო სამუშაოები 77 კილომეტრზე მიმდინარეობდა.

7. საგზაო საფარი გეგმის შესაბამისად მოეწყო 1,45 კილომეტრზე.

8. გეგმის შესაბამისად მოძრაობა გაიხსნა 1,45 კილომეტრზე.

პატივისცემით,

ვაჟა ფანჩულიძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე